



ტარიელ ფუტკარაძე, მიხეილ ლაბაძე

მუჰაჯირობის სიძნელები თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების მონაყოლთა მიხედვით¹

ზოგადი ცნობები მუჰაჯირობის შესახებ.

1878 წლის 3 მარტის სან-სტეფანოს პრელიმინარული ზავით, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო - აჭარა მაჭახლითურთ, შავშეთი, ლივანა (ნიგალი) და ლაზეთის აღმ. ნაწილი (მდ. ჩხალისა და მდ. ბელღევანის ხეობები) რუსეთის იმპერიას ერგო. რუსებმა ეს მიწები ბათუმის მხარეში („ოკრუგში“) გააერთიანეს; ბათუმის მხარე კი გაიყო ბათუმისა და ართვინის ოლქებად². 1878 წლის ბოლოს ახლად შემოერთებულ ქართული მიწებიდან ეთნიკური ქართველების აყრის მიზნით რუსი ჩინოვნიკები ხელს უწყობდნენ მუჰაჯირობის პროპაგანდას. ოსმალეთის ხელისუფლებასაც ხელს აძლევდა ბრძოლისუნარიანი და შრომისმოყვარე ქართველების გადაყვანა ოსმალეთის შიდა რეგიონებში, ამიტომ ოსმალთა მოხელეებიც ავრცელებდნენ წერილებს, რომლებშიც მოთხრობილი იყო ოსმალეთის სულთნის დიდი გულმოწყალებისა და იმ მიწების ნაყოფიერების შესახებ, რომელთაც იგი იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომებს ახალ სამოსახლოდ სთავაზობდა. ამ ყველაფერმა, ცხადია, მუსლიმან ქართველებზე გარკვეული გავლენა მოახდინა: რუსების შიშით მუსლიმან

¹ სტატია დამუშავებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტკარაძე) ფარგლებში.

² ბათუმის მხარის შესახებ რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების მიმოხილვისა და „ბათუმის ოლქისა“ და „ბათუმის მხარის“ გამიჯვნის აუცილებლობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: ბათუმი 1878, 1920, 1991, 2008; კრებული: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში"; აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები; გამომცემლობა: "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2009. გვ., 111-136. ასევე: ტ. ფუტკარაძე, ტერმინოლოგიური შეცდომები და არსაყალბეზღუი სიმბოლური თარიღები (ბათუმის მხარის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ზოგი ტერმინის ანალიზი საინფორმაციო ომის კონტექსტში); Terminological Errors and Fraudulent Symbolic Dates (Analysis of official documents concerning Batumi created in 1918-1921 in the context of news war) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულს სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, VIII, 2018, გვ. 151-170



ქართველთა დიდი ნაწილი იძულებული გახდა, მამაპაპისეული საცხოვრისი სამუდამოდ მიეტოვებინა და ოსმალეთში გადახვეწილიყო. 1882 წლის 3 თებერვალს, ოფიციალურად ამოიწურა ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების ვადა. ხელისუფლებამ ხალხში გაავრცელა საგანგებო მოწოდება, რომ ამიერიდან ოსმალეთში გადასვლა საზღვარგარეთის პასპორტის გარეშე აღარ შეიძლებოდა. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი მიზანია 140 წლის წინანდელი ამ მძიმე ისტორიის გადმოცემა მუჰაჯრთა ამჟამინდელი შთამომავლების მონათხრობის საფუძველზე.

2019 წლის 8-19 ივლისს, თურქეთის რესპუბლიკის შუა შავიზღვისპირეთის რეგიონში - გირესუნის, ორდუს, სამსუნისა და სინოპის ილებში მოწყობილი საენათმეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში, ჩვენ ქართველ მუჰაჯირთა დღევანდელი შთამომავლებისაგან ჩავიწერეთ მრავალი გადმოცემა, რომლებშიც ასახულია მათი წინაპრების თავგადასავალი სამშობლოდან იძულებით გადმოხვეწისა და ოსმალეთის იმპერიაში დამკვიდრების პერიოდში. საყურადღებოა ისიც, რომ ზოგი გადმოცემა გარკვეულწილად ემთხვევა 1877-1882 წლების მუჰაჯირობის ისტორიაში დოკუმენტურად დადასტურებულ ამა თუ იმ მოვლენას.

თურქეთში მოსახლე კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლებს დღევანდელ პირობებში სულ უფრო და უფრო უჭირთ მშობლიურ ენათა და ზნე-ჩვეულებათა შენარჩუნება. მათი ჩერქეზული, აფხაზურ-აბაზური თუ ქართული თვითაღქმა უმეტესად ეყრდნობა ისტორიულ მეხსიერებას - მამა-პაპათაგან გაგონილ იმ გადმოცემებს, რომლებშიც ასახულია სამშობლოდან ოსმალეთის იმპერიაში გადმოსახლებისა და დამკვიდრების ამბები. მუჰაჯირთა შთამომავლების დიდმა ნაწილმა სწორედ გადმოცემით იცის, საიდან წამოსულან და რა გვარს ატარებდნენ უწინ მათი წინაპრები, სად დასახლდნენ პირველად ოსმალეთის ტერიტორიაზე და ა.შ. ბუნებრივია, მათ ხსოვნაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადმოცემებს წინაპართა მიერ მუჰაჯირობის დროს გადატანილ სიმძნელეთა შესახებ.



ჩვენ მიერ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩაწერილი, მუჰაჯირობის პირველი წლების სიძნელეთა ამსახველ გადმოცემებში შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე თემა:

- 1. სამშობლოს დატოვების ძირითადი მიზეზი:** შიში, რომ ქრისტიან რუსებს შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მუსლიმანი მოსახლეობისათვის.
- 2. მძიმე საცხოვრებელი პირობები ოსმალეთში საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე:** ჩვენი საკვლევი რეგიონების მასალების მიხედვით, ხელისუფლებამ მუჰაჯირებს საცხოვრისი გამოუყო ზღვის სანაპიროსთან ახლოს, სადაც ბევრი კოლო იყო. მთიანი სოფლებიდან წამოსულმა მუჰაჯირებმა ვერ გაძლეს კოლოსა თუ ნესტს და ხეობების ზემო წელისკენ იწყეს მოძრაობა. აქ გაცილებით რთული იყო საცხოვრებლის მოწყობა.
- 3. დამხვედურ მოსახლეობასთან დაპირისპირება:** ოსმალეთში მოსულ მუჰაჯირებს ხელისუფალთა მიერ საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე დახვდათ ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მტრულად იყვნენ განწყობილი მუჰაჯირთა მიმართ;
- 4. სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობა:** ოსმალეთში ჩამოსვლის შემდგომ, იმედგაცრუებულ მუჰაჯირთა ერთმა ნაწილმა სცადა ისევ სამშობლოში - საქართველოში - დაბრუნება, თუმცა როგორც რუსებმა, ისე - ოსმალებმაც ხელი შეუშალეს ამაში;
- 5. ნოსტალგია:** ოსმალეთში გადმოსახლებულმა მუჰაჯირებმა უცხოებაში დღემდე შეინარჩუნეს დედაენა - ქართული ენა და ყოფითი კულტურის ძირითადი კომპონენტები. გარდა ამისა, საბოლოო ჯამში ისინი დასახლდნენ ისეთ ადგილებში, რომლებიც ჰგავდა სამშობლოში მიტოვებულ საცხოვრისებს. ახალ დასახლებებში ტოპონიმთა დიდ ნაწილს დარქვეს ქართული სახელები; გადმოიტანეს ძველი საცხოვრისების მიკროტოპონიმიაც.

არსებითი იმის აღნიშვნაც, რომ ამ თემებზე საუბრობენ არა მხოლოდ უფროსი ასაკის ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობენ ქართულს, არამედ, ახალგაზრდებიც. ახალმა თაობამ (25 წლამდე ახალგაზრდობამ) ნაკლებად იცის ქართული ენა; მათთვის თითქმის გაუცხოებულია ქართული კულტურაც, მაგრამ მუჰაჯირთა ამჟამინდელი შთამომავლების ქართულ ეთნიკურ მეობას (თვითაღქმას) დიდწილად განსაზღვრავს



უკვე მითებად ქცეული მუჰაჯირთა პირველი თაობების მძიმე ისტორიები. განათლების თანამედროვე სისტემა და ახალგაზრდობის ფართომასშტაბიანი გადასვლა დიდ ქალაქებში, ბუნებრივია, აშორებს მათ წინა თაობების ზეპირ გადმოცემებთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მუჰაჯირთა ახალი თაობის მენტალურ ასიმილაციას.

ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე კონრეტულ ისტორიას:

მუსა თანის მონაყოლი:

გირესუნის ილის ბულანჯაქის ილჩეში, სოფ. დამუდერეში, ადგილობრივი მცხოვრები მუსა თანისგან (Musa Tan, ქართული გვარი - ბარამიძე, 50 წლისა) ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ დასახლდნენ ქართველი მუჰაჯირები იქ, სადაც დღეს სოფელი დამუდერე მდებარეობს:

ჩტენი დედებიც იმისთუნ აქ ამოსულან ზათენ - აქატრობა ქედას გატსო. ზღუ ქენარში ადგილი მუცემია მაშინ უმფ[რ]ოსს, ჩტენი უმფ[რ]ოსს: აქ იდექითო და, ჩტენ აქ ტერ დატდგებითო! - აქ ამოსულან!.. აქ ტყე ყოფილა ზათენ, გუკაფიან! მაშინ იქა ბუზი ჭამდა მილლეთსა. ჭამდა იქა და, აქ ამოტდეს, აქატრობა კად იყო მაშინ... იქიდან ომ აქ მოტსულტართ, მას მემრე, ანი, აქაური სახელი ჰელიმოლლი დურქმიან. ჩტენ' ემდები - ქლათ ჰელიმოლლი! ამა იქ - ბარამიძე ტყოფილტართ და აქ რომ მოელით, აქ გამოცლილა.

ამ თხრობაში ყურადღებას იქცევს ორი უმთავრესი რამ:

1. მუჰაჯირები მთიანი მხარიდან - დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტიდან იყვნენ და დაბლობის ჰავა ვერ აიტანეს. ამიტომ, ისევ მთებში არჩიეს ასვლა, იქ კი ისეთი ადგილი მონახეს, რომელიც მშობლიურ ქედას მოაგონებდათ.
2. სამშობლოდან ოსმალეთში რომ გადაიხვეწნენ და ახალ ადგილას დასახლდნენ, გვარიც შესაბამისად გამოიცვალეს - უწინდელი ბარამიძის ნაცვლად, ჰელიმოლლი დაირქვეს. გვარის შეცვლის მიუხედავად, ქართველმა მუჰაჯირებმა ძველი, გვაროვნული დასახლების პრინციპი შეინარჩუნეს - სოფ. დამუდერეში დღესაც მხოლოდ ბარამიძეები ანუ ჰელიმოლლები სახლობენ, რომელთა დიდმა ნაწილმა 1934



წლიდან - როცა თურქეთში გვარის ტარება კანონით აუცილებელი გახდა, - ახალ გვარსახელად უკვე **თან** (Tan) აიღო.

ვეფათ ოზგუნის მონაყოლი:

ორდუს ილის ქ. ფაცაში, ადგილობრივი მცხოვრების - **ვეფათ ოზგუნისგან (Vefat Özgün, ქართული გვარი - კაკალაძე, წარმოშობით ქობულეთიდან)** ჩავიწერეთ გადმოცემა იმის შესახებ, როგორ ჩამოსულან მუჰაჯირები ფაცაში:

*ფაცას მუჰაჯირები ფეხითაც მოსულან, გემითაც მოსულან. ჩემი დედეჩემი იტყოდა ქი, წინ-წინ, მუჰაჯირებმა უოთხი გემით ჩურუქსუდან მოტდენო. იმ გემების სახელებიც უიცი, ჩემი დედეჩემიდან: კერთი - **გუღნიჰალ** ყოფილა: კაცები ჩამუყუანია სოფლებიდან - სამებიდან, გუარადდან და კტირიკედდან. რაფერ ყოფილა, იცი? ის კაცები პაწად ზენგინი ქი ყოფილან იქანად, ფარაც იქ ხონიან და იმ გემის იგინიზა მუცემიან - ჩაგუსხი, წიგუყუანე კარქა, ლამაზათო. მიერე გემ ეთქუა **ასგრ** - იმა თამ ჩურუქსუდან ბეგები წამუყუანია, მათი კაცების ერთათ. მესამე გემის სახელი ყოფილა **მეჯიდიე**, მეუოთხე გემისი - **სელიმიე**.*

ეს უოთხი გემი წამოსულა კიმ იქიდან - ჩურუქსუდან. აქ მოსულან ქი, რუმები მუდარან აქანად, იმ იგინის სოფელი ყოფილა ფაცა. მემრენ-და, ის რუმები უწეუდან, გუძეუდან აქიდან და ჩუენ მოქუცეს კაი ადგილი. თქუეს ქი დედებმა მაშუინ: რაფერ ქლათ ჩურუქსუს გაუსო აქოურობაუო, აქ დაუყდეთო და დამუდარან. დოხსან უჩ ჰარბინდე ყოფილა. ჩურუქსუს რომ რუსი მოსულა, ჩუენები ჰიჩ უელარ დამდგარან იქანად და გემებით იშთე, წამოსულან აქით.

დოხსან უჩ ჰარბიც რომ დათაუდა, კრ აჭარლები მემრე მოუდენ, ფეხით მოუდენ და მოუდენ, გაფუხრებულები. წინ-წინ, თრაბზონში გადასულან, ამა იქანად არ დუყენებია ჰუქუმათს ქი: აქ არ არი ადგილიუო და გამუშუიან აქით - თქუენებურები თელ' იქანად ზიანო. რომ მოუდენ აქა, თელ' თიეფში ეუდენ, ზედთ: აქა კოლო არი-დედი და ზედთ ეუდენ, ზღუს ქენერზე სარ დადგენ. თიეფში მათეზურად ჩიფთლილები გაკეთეს, იქანად ისაქმეს. ახლაც იმფერ არდან, იმფერ საქმოვენ.



ეს გადმოცემაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის: უპირველეს ყოვლისა, იმ გემების სახელებს, რომლებითაც შეძლებული ქობულეთლები მუჰაჯირად წამოსულან. აღსანიშნავია, რომ ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, ქობულეთის მხარეში მუჰაჯირობა 1877 წელს დაწყებულია. მისი მოთავეები ყოფილან ბეგები: **ალი-ფაშა თავდგირიძე და ყემპერ-აღა ფაში ოღლი ჩივამე** (ჭიჭინაძე, 1912: 109); ლოგიკურია დავუშვათ, რომ მათ მართლაც ექნებოდათ იმის საშუალება, რომ თავიანთი გლეხები ოსმალეთში გემებით გადაეყვანათ.

მუჰაჯირების ჩამოსვლამდე, ფაცა პონტოელი ბერძნების სამოსახლო ყოფილა, შემდეგ კი ისინი გაუძევებიათ. ეს ცნობაც დოკუმენტურად დასტურდება: 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, რუსების მხარეს 4000 პონტოელი ბერძენი მოხალისე იბრძოდა. ამის გამო, ოსმალებმა მათი თანამემამულეები აიძულეს, დაეტოვებინათ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორია. მუჰაჯირობის პარალელურად - 1877-1884 წლებში, - პონტოელი ბერძნების მნიშვნელოვანმა ნაწილმა რუსეთს მიაშურა (გერმანჩუკი, 2011:161-166). სწორედ მათ ნასახლარებზე დაასახლეს ოსმალებმა ფაცაში ქობულეთიდან წამოსული მუჰაჯირები, რომელთაც ახალი საცხოვრისი ძველს აგონებდათ.

ფაცაშივე ჩამოსულან ზემოაჭარლებიც ომის დამთავრების მერე - ფეხით, ტრაპიზონიდან. თურქი ისტორიკოსი მუამერ დემირელი ოსმალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „1879 წელს, ტრაპიზონის ცენტრში ფეხით ჩამოსული ლტოლვილები დროებით აქააბათის ნაპიეს სოფ. სუვაში (აქიაზიში) განათავსეს, მერე კი ორდუში გადაიყვანეს“³ (დემირელი, 2009: 1128-1129). ეს ხალხი ზღვის პირას, კოლოების სიმრავლის გამო არ გაჩერდა და მთებს მიაშურა, სადაც მეურნეობები მოაწყო.

იბრაჰიმ დურსუნის მონაცემი:

სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩეს სოფ. მუსლუბეიში ჩავიწერეთ კიდეც ერთი გადმოცემა **იბრაჰიმ დურსუნისგან (İbrahim Dursun, ქართული გვარი - კვირტიძე, 70 წლისა)**, იმის შესახებ, როგორ ამაოდ შეეცადნენ მისი წინაპრები უკან დაბრუნებას:

³ „1879 yılında kara yoluyla Trabzon şehir metkezine gelen göçmenler geçici olarak Akçaabat nahiyesinin Suva (Akyazı) köyüne yerleştirilmişler ve daha sonra Ordu'ya göçmen gönderilmişlerdir.“



ბათუმიდან აქა მოსულან, ჩუენი დედები მოსულან. უკან წასლა სურუებიან ქი, თაბი, ერთ-ორ კაც... იშთე, სონრა უკან წასულან, ბეჟი მიტუდეთო, გერი იქ ჩუენ სახლეფ დუტრიალდეთო. წესულან ქი, ჰუდუთზეც რუსეფ დუყენებიან: ესენი ტინ არიანო? კუირტიზე? რ!.. წადთ ახლა ყუელად უკანო! რა გინდებიან აქაო?!.. ჩუენე კუირტიძესთან უერ დატუდებითო!.. კუირტიძე იშთე, დიდი ეშქიამს სულწლე ყოფილა იქა. ჰამან, წამოხტენ ზეზენ ე ჩუენი კაცები, წამოსულან უკანად აქით, თურქიეში.

მრავალრიცხოვანი დიალექტური მასალისაგან ეს მასალა შევარჩიეთ სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობის საჩვენებლად. ოსმალურ დოკუმენტებში უხვად მოიპოვება ცნობები იმის შესახებ თუ როგორ უშედეგოდ ცდილობდნენ ხოლმე იმედგაცრუებული მუჰაჯირები უკან დაბრუნებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იუსუფ ქარაასლანის მიერ მოძიებული დოკუმენტური მასალა; კერძოდ, მას მოჰყავს ქ. სინოპის პოლიციის 1883 წ. 2 ოქტომბრით (ჰიჯრით: 1300 წლის 30 ზულ-ყადდათი) დათარიღებული ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სტამბოლიდან სინოპში ჩასულა ქართველ მუჰაჯირთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც სურდათ სინოპიდან ბათუმში წასვლა. მათ ერთ-ერთი გემის კაპიტანისთვის მიუმართავთ და გარკვეულ ფასად, ხელისუფლების გვერდის ავლით, რუსეთში გადაყვანა უთხოვიათ. კაპიტანი დახმარებას დაჰპირებია მათ, მაგრამ მერე გაუცია. გემზე ასვლისას, ყველა მუჰაჯირი პოლიციას დაუკავებია და ისევ სტამბოლში დაუპირებია გაგზავნა, მაგრამ ბოლოს, მაინც დაურთავს ნება, რომ სინოპში დარჩენილიყვნენ, თან მკაცრად გაუფრთხილებია, რომ თუ ისევ დააპირებდნენ რუსეთში წასვლას, დაისჯებოდნენ (ქარაასლანი, 2019:407).

მუსტაფა ოზთურქის მონათხრობი:

ორდუს ილის უნიეს ილჩეს სოფელ ექინჯულის მკვიდრმა **მუსტაფა ოზთურქმა** (Mustafa Öztürk, ქართული გვარი - **ხოხოტაიშვილი**, 67 წლის) ჩაგვაწერინა საყურადღებო გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვიდა მისი ბაბუა, სახელად **მეჯიდი** მაჭახელის ხეობიდან ამ სოფელში:



ბათუმ რუსმა რომე შამოტდა, ჩუენი დედემს ბაბა მაჭახელში ყოფილა. იმან იშთე, აუად გახთა მეგერე და მოკუდა. რომ მოკუდჷ, ორი გოგო, იშთე, მეჯიდაი - ბიჭი, ქალი დარჩენ. წუდეთ - სარ წუდეთ? წუდეთ თუ არა? იმ რუსმაც: ბოლჩეტიკობა ქენითო, ჰიჩ... ქალმა: ჰიჩ ცისასაც სარ უიცნობო, ცისას ქითაფსაც სარ უიცნოფო, - თქუა მეგერ. მაშინ იმ რუსმა - ბოლჩეტიკ ეტყუიან, რაფერი ეტყუით თქუენ, სარ უიცი - სავაში ქნა, ხარფში ყოფილა. ეს რომ აქ ჰიჩ რამეს არ ცნობილრფს, მეჯიდამ - ჩუენმა დედემ: ჩუენ აქ რაფერ-ნა დაუდგეთო და წამოსულან. რომ წამოსულჷ, ზედან გამოსულა დჷ, იმ ზედთა კარიდან, - სარფიდან არა, - იქ, მაჭახელიდან.

გამოსულან. იქიდან ისე წამოსულა, წამოსულა, წამოსულა - პაწად რომ წამოსულჷნ, მოდდან აწე, ორი ძროხა ყაუჸ, მას სკიური აქ მოკიდული, გოგუეფსაც - იმ მაგაზადან რაცხას აწუენ, მედკიდებენ ზოუგ ზე, ჩასანმელი, სურუბაჲ. ნენესაც რაცხეები მუაქუენ და აუათ გახთა. თქუენ წუინდა აუატყოფობას ეტყუით, ჩუენ - უერემს და ის აუატყოფობა დემართა. აჲ, ბუერი იფიქრა დჷ: რა უიყაუით და რა გაუხთითო და იმ ფიქრში ის აუატყოფობა დემართა, უელჷრ წამოუდენ მერე: გზაში რომ მოდიან, უერ წამოუდენ, მეჯიდადც იქ დარჩა. უცადა მეგერ იქ, უცადა: რამედ არ არი, რადთ წამედყუანოს უნდა? ქათამ უღებდა და მიართმემდა ნენეს. სიმ დეფს რომე რაცხეები მოკიდული აქუან - ფეშკირი აქუან, ხაულის ის აქუან, რაცხა აქუან, იმფერი რაცხეები, - იმას მიცემს მეგერემ, ფულ არ ანახუიეფს უინმეს, ფულს მაღაუჸ მეგემ. იმა მიცემს და სეროთ ქათამ ურთუამს, სორო ქათამს ურთუამს და ასე მიცემს. ხოდა, მოკდა მეგერ, ნენედ.

ნენემ რომ მოკდა, იქ მიაფლაუა და იქიდან წამოუდა აქ, უნდემი. იქ შუტყუია იშთე, იქ სამ წელიწადს უცადა ქი, რომ უნდემი მისი ხისიმეები წამოსულან. იქიდან უნდემი წამოუდა ნელ-ნელა, ნელ-ნელა, ნელ-ნელა და აქ მოუდა, აქ ხისიმეები ნახა - ხოხოტამუტილები ნახა, ამ ექინჯულში. ჰედჷ დამყდარან, ჰე იქით.

მემრენ, ის მაღაზა რომ ქონდენ, იქიდან პაწად რაცხეები ქონებია დედესი - ფარა, მენახული. ჰედს ადგილი ედლო, ჰედჷ იგერ - გაღმაში. აგერ-იგერ გზა არ მიუა, ჰედგერ. იქ ჩემი ბიძამუტილებია ახლა.



გადმოცემაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის, რომ მუჰაჯირობის ფაქტი შედარებით გვიანდელია - განხორციელებულია XX საუკუნის 20-იან წლებში; კერძოდ, თურქეთში წამოსვლის მიზეზად დასახელებულია საქართველოში რუსი ბოლშევიკების შემოსვლა: ბოლშევიკებმა მეჯიდსა და მის ოჯახს - დედასა და დებს - დამორჩილება მოსთხოვეს, ისინი კი წინააღმდეგნი წავიდნენ და იძულებული გახდნენ, მშობლიური სოფელი დაეტოვებინათ. თურქეთში ფეხით გადავიდნენ. იქ დედა ნერვიულობისგან ავად გახდა. მეჯიდმა და მისი დებმა სამი წლის განმავლობაში თითქმის მთელი ქონება გაყიდეს, მაგრამ დედა ვერ განკურნეს.

აღსანიშნავია, რომ 1922 წელს - საქართველოში საბჭოთა რუსეთის არმიის შემოჭრიდან ერთი წლის შემდეგ, ყარსის ხელშეკრულებით, - მაჭახელის ხეობა მართლაც გაიყო ორად: ქვემო ნაწილი საქართველოს დარჩა, ხოლო ზემო ნაწილი - თურქეთს გადაეცა. იმჟამად, ხეობის ბევრი მკვიდრი, ვინც ბოლშევიკურ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა, მაჭახელის თურქულ ნაწილში გადავიდა.

დედის სიკვდილის შემდეგ მეჯიდ ხოხოტაიშვილი უნიეში წამოვიდა, რადგანაც იცოდა, რომ იქ მისი ნათესავები, ხოხოტაიშვილები ცხოვრობდნენ. დიდი ხნის ძებნის მერე, მან ისინი სოფელ ექინჯულში ნახა და თავადაც იქვე შეიძინა სამოსახლო.

ამდენად, ეს გადმოცემა ადასტურებს, რომ 1877-1882 წწ. ოსმალეთში წასულ მუჰაჯირებსა და საქართველოში დარჩენილ მათ ნათესავებს XX საუკუნის 20-იან წლებამდე არ გაუწყვეტიათ კავშირი (ცნობისთვის: I მსოფლიო ომის დროს, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ ოსმალეთის არმიის შემადგენლობაში ჩამოყალიბებული „ქართული ლეგიონის“ წევრთა უმეტესობა სწორედაც რომ ქართველი მუჰაჯირი იყო [დაწვრილებით იხ. ბაქრაძე, 2009:12-22]); გარდა ამისა, მიუთითებს იმაზეც, რომ თურქეთის შუა შავიზღვისპირეთის ქართველთა შორის გვხვდებიან არა მარტო 1877-1882 წწ. მუჰაჯირთა, არამედ გაცილებით მოგვიანებით წასულთა შთამომავლებიც.



ჰიქმეთ გაირეთთინის მონათხრობი:

ქალაქ სინოპის გარეუბან დიბექლიში, ჰიქმეთ გაირეთთინისგან (Hikmet Gayrettin, ქართული გვარი აღარ ახსოვს, 70 წლისა, წარმოშობით **ბორჩხადან**) ჩავიწერეთ ისტორია იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სინოპში ახლად ჩასულ ქართველ მუჰაჯირებსა და მკვიდრ, დამხვდურ მოსახლეობას:

მუჰაჯირში რომ გამოჰდა ეს ჩუენებო, გემით გამოჰდენ და ის გემიც აქ - სინოპში მოსულა, იმთე აქ მოსულა. კაცები, ქართულები, აქიდან სოფლებში წასულან, ენ ზეით ჰაცხადა, იქ დამჯდარან: ესემე უნდა უქნათო, სხუაგან უერ უიქთო, ზღუპირ უერ უიქთო. მოსულა მუჰაჯირი აქ. სახლი არ აქუან, შედ არ აქუან! წასულან ზედო, ძაღლებზე ჩოზნები რომ ყოფილან, გუქუცუტიან: სილაღი აქდენ, მუღირდენ: მეძტად რაცხა გაქ, ყოინი მოგუქე, ის მოგუქე, საჭმელი გუაჭამე! აქა რუმები ყოფილან მაშინ და ის რუმები შუწუხუტებიან ამათ. მუჰაჯირეფს ინსნიჭამლეფ ეძახდენო-ქი, ისინი, ამათეებიდან ეშინოდათო დია.

ჩუენი დედედს - მემედის ბაბოჲ ჩამოჰდა მაშინ აქ. ნახა-ქი, ზღუპირზე ინსანმა არ იცოცხლოს, ბუცუცუტელები ბეურია. მანაც სხუეფსატენ ზედო ეტდა - იქა. ენნი მაღალი დერზე ის ჩუენ აქა, ის სოფელია ქი! იმას ფარად ქონებია, რუმი ჩოზნებისთუნ ფარადო ერთი ძროხა ურთმეუთა, ის ყოლია. ამფერ დასახლებულა, იმთე.

ოსმალური დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ რუსეთის იმპერიიდან წამოსული მუჰაჯირები ან იმთავითვე შეიარაღებულნი იყვნენ, ან კიდევ - ოსმალეთში გადმოსვლის უმაღლ იძენდნენ იარაღს (ქასაბი, 2019:342). ამასთანავე, პონტოელ ბერძნებს, რომლებიც მაშინ ოსმალეთის შავიზღვისპირა ქალაქების (სინოპის, ორდუს, ტრაპიზონის...) მკვიდრ მოსახლეთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ, სტამბოლი პრორუსულობაში ადანაშაულებდა და არ ენდობოდა. ამიტომ რუსებისგან გამწარებულ მუჰაჯირებს არაიშვიათად, სწორედ მათ წინააღმდეგ განაწყობდა (გერმანჩუკი, 2010:164). მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ თავიდან, მუჰაჯირებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის დამაბული ურთიერთობა იყო: მუჰაჯირებს „ადამიანის მჭამელები“ შეარქვესო - გადმოგვცემს მთქმელი, მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, რომ მოგვიანებით, ურთიერთობა დამთბარა - მის წინაპარს ბერძნებისგან ძროხა შეუძენია.



საიმი ოზგუნის მონათხრობი:

ორდუს ილის უნიეს ილჩეს სოფ. გაუზელდალიში (ძველი სახელი - მიტრაპოლი), საჰიმე ოზგუნისგან (Sahime Özgün, ქართული გვარი - მოწყობილი, წარმოშობით ქობულეთიდან) ჩავიწერეთ ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ წამოიღეს მუჰაჯირებმა საქართველოდან მშობლიური სოფლების სახელები და ახალ სამოსახლო ადგილებს დაარქვეს:

ჩემი კაცის დედები ჰიდან არიან, ჰიდან მოსულან თუ? ბათუმის ჭალახმელედან. ქედაძს გზაზე ჭალახმელე არიო - დონოგანი და ჭალახმელე ერთმანეს უყურესო ასეო. დედებიც აქ რომ ჩამოსულან, ამგენს დუთქმეტიან ლელის ჭალახმელა, იმას გაღმა კუთხეს რომ არი დონოგანი, აქაც იმფერ, დონოგანი თქტია.

ჭალახმელე ბათუმის სახელი ყოფილა, ისე ცამბოზენ. ზამნზე, იმ იქიდან სახელი დუთქმეტიან. იქ არი ესე სახელი აჯაბა? არი, კი? იქიდან ქი ჩამოსულან, აქაც ჭალახმელე დუთქმეტიან. ახლა ამ სოფელს თქტია გუზანლ ძალე - ლამნზი სოფელი, კად სოფელი. კად სოფელია აქრობა! ესეი ადგდა - მითრაბოლ, მითრაბოლუ და დე გეჩიძორ, მიტრაპოლი ჩიტიან. ისე ყოფილა.

ტოპონიმების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა საკმაოდ ცნობილი მოვლენაა. მშობლიურ სოფელთა სახელების ახალ სამოსახლო ადგილებზე შერქმევით ქართველი მუჰაჯირები ცდილობდნენ, ამგვარად მაინც შეენარჩუნებინათ კავშირი სამშობლოსთან. **ჭალახმელა** და **დოლოგანი** სოფლებია ქედის მუნიციპალიტეტში, მახუნცეთის თემში. იქიდან წამოსულმა მუჰაჯირებმა ახალ სამოსახლო ადგილს - ყოფილ ბერძნულ სოფელ მიტრაპოლის უბნებს უწოდეს „ჭალახმელე“ და „დონოგანი“.

ამრიგად, მუჰაჯირობა ერთ-ერთი დიდი ტრაგედია ქართველი ერის ისტორიაში. 2019 წელს ჩვენ მიერ გირესუნის, ორდუსა და სინოპის მასალების მიხედვით, მუჰაჯირობა ძირითადად განხორციელდა სამხრეთ საქართველოდან: აჭარიდან,



მაჭახლიდან, ლივანიდან. ჩვენ მიერ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩაწერილ მასალებში წარმოჩენილია:

- სამშობლოს დატოვების ძირითადი მიზეზი;
- მძიმე საცხოვრებელი პირობები ოსმალეთში საცხოვრებლად გამოყოფილ მიწებზე;
- დამხვდურ მოსახლეობასთან დაპირისპირება;
- სამშობლოში დაბრუნების უშედეგო მცდელობა;
- დიდი ტკივილი ისტორიული სამშობლოს დაკარგვის გამო.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, 2009: ლაშა ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს, თბილისი, 2009;

გერმანჩუკი, 2010: В. Германчук, Выставочный проект «Понт. Право на память» - информационный прорыв сквозь забвение, Вісник Одеського Історико-Краєзнавчого Музею, випуск 10, Одеса, 2010; გვ. 161-166;

ქარაასლანი, 2003: Yusuf Ziya Karaaslan, “93 Harbi Sonrası Kafkasya’dan Bursa’ya Kitlesele Göç Hareketleri: Odunluk Örneği”, Mass Migrant Movements From Caucasia to Bursa After the 1877-1878 Russo-Turkish War: The Case of Odunluk, Bursa, 2003; გვ. 401-416;

ქასაბი, 2019: Murat Kasap, 93 Harbi Batum Muhacirleri, İstanbul, 2019;

ჭიჭინაძე, 1912: ზაქარია ჭიჭინაძე, „ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია“, თბილისი, 1912;